

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №385

ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე №NAT250015507

ქალაქი ქუთაისი

15 სექტემბერი 2025 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია

წარმოდგენილი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის, დავით ერემეიშვილის სახით, მის: ქ. ქუთაისი, შოთა რუსთაველის გამზ. №3

საიდენტიფიკაციო ნომერი: №212721170

ვებ გვერდი: www.kutaisi.gov.ge

ხაზინის ერთიანი ანგარიში: TRESGE22

ანგარიშის ნომერი: №300 180 000

(შემდგომში შემსყიდველი)

და მეორეს მხრივ,

შ.პ.ს „მულტიდევი“

წარმოდგენილი შ.პ.ს „მულტიდევი“-ს დირექტორის, ნატალია პატარიძის სახით

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, არნოლდ ჩიქობავას ქ., №3, ბ. №16

საიდენტიფიკაციო ნომერი: №402295789

ტელეფონის ნომერი: +995 571-33-33-03

ელექტრონული ფოსტა: nataliapataridze@yahoo.com

საბანკო რეკვიზიტები: ს.ს „თიბისი ბანკი“

ბანკის კოდი: TBCBGE22

ანგარიშსწორების ანგარიში: №GE47TB7370336020100007

(შემდგომში მიმწოდებელი)

შემდგომში თითოეული ცალ-ცალკე წოდებული, როგორც „მხარე“, ხოლო ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები“, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 16¹ მუხლის პირველი პუნქტის, „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 4 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის 33-ე მუხლის პირველი პუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის (NAT250015507) შედეგების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ (დაწესებულებას), ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც გაიმარჯვა ტენდერში და ახორციელებს მომსახურების გაწევას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს;

1.6 „მომსახურება“- ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

1.7 „ტექნიკური დოკუმენტაცია“ - მიმწოდებლის მიერ აუქციონის გარეშე ელექტრონულ ტენდერში სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

2.1 ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდული ღონისძიებების ფარგლებში, მობილური აპლიკაციის შექმნა, რომელიც წარმოადგენს ქუთაისში დაგეგმილი კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და ახალგაზრდული ღონისძიებების სრულყოფილ კატალოგს.

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების აღწერა მოცემულია ტექნიკურ დოკუმენტაციაში (სატენდერო წინადადება, ფასების ცხრილი და ტექნიკური დოკუმენტაცია წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს).

2.3 კლასიფიკატორის კოდი: 72200000 - პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება და საკონსულტაციო მომსახურებები, 72260000 - პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მომსახურებები.

Handwritten signature

Handwritten signature

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 38000 (ოცდათვრამეტი ათასი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მიერ.

4.2 „მიწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს „შემსყიდველი“, კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი“ კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით „შემსყიდველი“.

4.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ „შემსყიდველი“ დაუყოვნებლივ სიტყვიერად, შემდეგ კი წერილობით აცნობებს „მიწოდებელს“ დაწუნებული მომსახურების ნაწილს წუნდების მიზეზების მითითებით.

4.4 „მიწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

5. მომსახურების გაწევის პირობები და ვადები

5.1 მიწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს, ტექნიკური დავალებით და ფასების ცხრილით გათვალისწინებული, მომსახურება.

5.2 მომსახურების გაწევის ეტაპები:

1. UI/UX დიზაინი - 5 სამუშაო დღე;
2. Backend და Frontend პროგრამირება - 40 სამუშაო დღე;
3. ტესტირება და უკუკავშირი - 10 სამუშაო დღე;
4. აპის განთავსება - 5 სამუშაო დღე;
5. ტექნიკური მხარდაჭერა - 6 თვე.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 „შემსყიდველი“ შესყიდვის ობიექტს მიიღებს ეტაპობრივად.

6.2 „მიწოდებელი“-ს მიერ გაწეული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის დადასტურების შემდეგ.

6.3 მიღება – ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს: მომსახურების დასახელება, რაოდენობა და ღირებულება.

6.4 ფაქტიურად შესყიდვის ობიექტის მიღების დამტკიცებას ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის დადასტურების საფუძველზე ახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს ეტაპობრივად, „მიწოდებელი“-ს წერილობითი მომართვის საფუძველზე, რომელსაც უნდა დაერთოს:

- ა) ფაქტიურად გაწეული მომსახურების დასახელება და ღირებულება;
- ბ) მიღება-ჩაბარების აქტი.

7.2 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო, (გადარიცხვა) ლარებში.

7.3 ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს ეტაპობრივად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესაბამისად, დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

8.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია (ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადის გასვლამდე) წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველი“ ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

8.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

8.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართი-შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო

ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუზიაროს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებულ აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების (დანართი-შეთანხმება) შეტანის გზით.

10. მხარეთა უფლება-მოვალეობები

10.1 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია: ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს „მიმწოდებლისგან“ მისთვის საჭირო ინფორმაცია

10.2 „შემსყიდველი“ ვალდებულია: უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.

10.3 „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია: მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

10.4 „მიმწოდებელი“ ვალდებულია: დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, ხელშეკრულების შეწყვეტა (საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა)

11.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობ(ებ)ის შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული ნაწილის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

11.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს დაუყოვნებლივ, გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე.

11.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში (მათ შორის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე), მხარე რომელმაც არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა – ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

11.4 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების 11.3 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა ჯამში მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 1,5%-ს, მხარეებს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.6 ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით.

11.7 ხელშეკრულების (სრული ან ცალკეული ნაწილის) შეწყვეტის კანონით დადგენილი წესით დადასტურების შემთხვევაში, მხარე გადაიხდის პირგასამტეხლოს, სახელშეკრულებო თანხის 20% -ის ოდენობით.

11.8 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, „მიმწოდებლის“ დაჯარიმების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად გაწეული მომსახურების ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.

11.9 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. დაუძლეველი ძალა

12.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ, თუ აღნიშნული გამომწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ;

12.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

12.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. სადავო საკითხების გადაწყვეტა

13.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. შეტყობინება

14.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის სახით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

14.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

მ. გრიგუა

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების თავში მითითებული დღიდან 2026 წლის 10 ივნისის ჩათვლით, გარდა ხელშეკრულებით განსაზღვრული იმ ვალდებულებებისა, რომელთა არსებობაც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე.

მხარეთა ხელმოწერები:

შემსყიდველი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი

Handwritten signature

დავით ერემეიშვილი



მიმწოდებელი:

შ.პ.ს „მულტიდევი“-ს დირექტორი

Handwritten signature

ნატალია პატარიძე

Handwritten signature

Handwritten signature

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ქუთაისი

15 სექტემბერი 2025 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის და „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების მე-5 მუხლის თანახმად, ხელისმოწერით ვადასტურებ, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სატენდერო კომისიის მიერ 2025 წლის 25 აგვისტოს აუქციონის გარეშე გამოცხადებული №NAT250015507 (**მობილური აპლიკაციის შექმნის სახელმწიფო შესყიდვა**) ელექტრონული ტენდერის საშუალებით მომსახურების შესყიდვის განხორციელებაში მონაწილე პრეტენდენტის, შ.პ.ს „მულტიდევი“-ს (ს/კ 402295789) მიმართ ჩემი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის

მოვალეობის შემსრულებელი:



დავით ერემეიშვილი

ფასების ცხრილი

№	მომსახურების დასახელება	მოთხოვნები	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	საერთო ღირებულება
1	მობილური აპლიკაციის შექმნა	UI/UX დიზაინის შექმნა მობილური აპის Frontend განვითარება (React Native) Backend სისტემის შექმნა და API ინტეგრაცია (Laravel) მონაცემთა ბაზის არქიტექტურა და შენახვა (MySQL), ავტორიზაციის სისტემა (Firebase/Laravel Passport) ღონისძიებების მართვის მოდული ლოკაციით მოხალისეობის მოდული (რეგისტრაცია, ქულების დაგროვება) ქულების გადაცვლის მექანიზმი და ვაუჩერების ინტეგრაცია შეტყობინებების სისტემა (FCM) საწყობის ინტეგრაცია (სურათების ატვირთვა - AWS S3) პერსონალური პროფილის და დაფის მოდული ადმინისტრაციისა და როლების მართვა ტესტირება და ხარისხის უზრუნველყოფა დეპლოიშენტი და აპის გამოქვეყნება (Play Store, App Store) CI/CD და მონიტორინგის ინსტრუმენტები (GitHub Actions, Sentry)	ცალი	1	32000	32000
2	ტექნიკური მხარდაჭერა	კრიტიკულ ხარვეზებზე რეაგირება – მაქსიმუმ 48 საათში; მცირე გაუმჯობესებები და განახლებები – შეთანხმებული გრაფიკით; სისტემის მონიტორინგი და ანგარიშგება – რეგულარული ტექნიკური და სტატისტიკური ანგარიშები; მხარდაჭერის არხები – ელ.ფოსტა, ტელეფონი, ონლაინ ფორმა; ტექნიკური კონტაქტი – პასუხისმგებელი პირი ყოველდღიური კომუნიკაციისთვის	ოვე	6	1000	6000
ჯამი						38000

Natalia
Pataridze
60001053638

Digitally signed
by Natalia
Pataridze
Date: 2025.09.04
18:28:10

ტექნიკური დავალება

პროექტის დეტალური აღწერა

უნდა მოხდეს მობილური აპლიკაციის შექმნა, რომელიც წარმოადგენს ქალაქ ქუთაისში დაგეგმილი კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და ახალგაზრდული ღონისძიებების სრულყოფილ კატალოგს.

აპლიკაციამ უნდა უზრუნველყოფს მომხმარებლების სრულ ინფორმირება ღონისძიებების შესახებ – თარიღის, ადგილმდებარეობის, აღწერის, კატეგორიისა და რუკაზე მითითებული ლოკაციის ჩათვლით. ღონისძიებების ძიება შესაძლებელი იქნება სხვადასხვა ფილტრით.

მეორე ძირითადი კომპონენტია მოხალისეობრივი ჩართულობის მექანიზმი – მოხალისე მომხმარებლებს ექნებათ შესაძლებლობა დარეგისტრირდნენ კონკრეტულ ღონისძიებაზე, მიიღონ მონაწილეობა და დააგროვონ ქულები, რომლებიც შემდგომში გადაცვლადია ფასდაკლების ვაუჩერებში. ვაუჩერების სისტემა პარტნიორობით მუშაობს ადგილობრივ ბიზნესებთან, რაც ქალაქის ეკონომიკურ და სოციალურ ჩართულობას უწყობს ხელს.

1. ზოგადი მახასიათებლები

მახასიათებელი	აღწერა
აპლიკაციის მიზანი	ქუთაისში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და მოხალისეობრივი ჩართულობის წახალისება
სამიზნე აუდიტორია	ახალგაზრდები, სტუდენტები, სკოლის მოსწავლეები, NEET ახალგაზრდები, ადგილობრივი მოსახლეობა
მხარდაჭერილი პლატფორმები	Android და iOS
მოხალისეობის სისტემა	ქულების დაგროვება აქტივობების საფუძველზე და მათი გადაცვლა ფასდაკლების ვაუჩერებში
პარტნიორული სისტემა	ფასდაკლებების ვაუჩერები ადგილობრივი კერძო სექტორის ბიზნესებისგან
მხარდაჭერის ვადა	მინიმუმ 6 თვე დასრულების შემდეგ
მოთხოვნილი ენა	ქართული (ვერსია გაფართოების შესაძლებლობით)
პუბლიკაცია	Google Play Store / Apple App Store

2. ტექნიკური მახასიათებლები

Frontend:

- ფრემვორკი: React Native
- State Management: Redux ან Context API
- ნავიგაცია: React Navigation
- UI ბიბლიოთეკა: NativeBase ან Material UI for React Native
- ავთენტიფიკაცია: Firebase Authentication ან OAuth2

Backend:

- ფრემვორკი: Spring Boot (Java)
- ბაზა: MySQL
- ავთენტიფიკაცია: Spring Security + JWT ან OAuth2
- API არქიტექტურა: RESTful API JSON პასუხებით JSON API არქიტექტურა
- რეალურ დროში შეტყობინებები: Firebase Cloud Messaging ან Spring WebSocket

Infrastructure:

ინფრასტრუქტურა

- ჰოსტინგი: AWS
- CI/CD: GitHub Actions
- მონიტორინგი და ლოგირება: Sentry, LogRocket ან Spring Boot Actuator

3. სისტემის არქიტექტურა

- Frontend: React Native აბი უკავშირდება Spring Boot backend-ს RESTful API-ს გამოყენებით.
- Backend: Spring Boot API ამუშავებს მომხმარებლის მოთხოვნებს, ღონისძიებების მართვას და ქულების განაწილებას.
- ბაზა: MySQL ინახავს მომხმარებლის მონაცემებს, ღონისძიებების დეტალებს, ატვირთულ სურათებს და ქულებს.
- საცავი: Cloud Storage (AWS S3/Firebase) ატვირთული სურათებისთვის.
- შეტყობინებები: FCM ან WebSocket ღონისძიებების შეხსენებისთვის და განახლებებისთვის.

4. მომხმარებელთა როლები და ნებართვები

- 4.1. მომხმარებლები: ნახვა, მონაწილეობა, ატვირთვა, ქულების დაგროვება

4.2. ორგანიზატორები: ღონისძიებების მართვა, ატვირთვების დამტკიცება, მონაწილეთა სია

34.. ადმინისტრატორები: ზედამხედველობა, როლებისა და შინაარსის მოდერაცია

5. ძირითადი ფუნქციონალი

- რეგისტრაცია და ავტორიზაცია (JWT/OAuth2)
- ღონისძიებების მართვა (CRUD)
- მონაწილეობა და ფოტოების ატვირთვა
- ქულებისა და ჯილდოების სისტემა
- შეტყობინებები
- სიახლეების განყოფილება
- მომხმარებლის პროფილი და დაფა

6. განლაგების სტრატეგია

- განვითარება და ტესტირება: Spring Boot ლოკალურად (IntelliJ/VS Code)
- პროდუქციის განლაგება: AWS EC2 ან სხვა VPS სერვერი
- ვერსიის კონტროლი: GitHub ან GitLab
- მობილური აპის გამოქვეყნება: Google Play Store და Apple App Store

7. უსაფრთხოების ზომები

- პაროლების დამიფვრა bcrypt-ით
- JWT/OAuth2 ავტორიზაცია
- მონაცემთა გადაცემა SSL-ით
- როლზე დაფუძნებული წვდომის კონტროლი

8. სკალირებადობა და სამომავლო გაუმჯობესებები

- AI რეკომენდაციები
- ფორუმის დამატება
- აპშიდა შესყიდვები და პრემიუმ გამოწერები

9. პირდაპირი ტრანსლაციის შესაძლებლობა განვითარების სტადია და ვადები

- UI/UX დიზაინის შექმნა – 5 სამუშაო დღე
- Frontend და Backend სისტემების პროგრამირება – 40 სამუშაო დღე
- ტესტირება, უკუბმების შეყვანა – 10 სამუშაო დღე
- აპის განთავსება პლატფორმებზე (Google Play, Apple App Store) – 5 სამუშაო დღე

- ტექნიკური მხარდაჭერა – ხელშეკრულების გაფორმებიდან მინიმუმ 6 თვე, რაც გულისხმობს: (კრიტიკულ ხარვეზებზე რეაგირება – მაქსიმუმ 48 საათში; მცირე გაუმჯობესებები და განახლებები – შეთანხმებული გრაფიკით; სისტემის მონიტორინგი და ანგარიშგება – რეგულარული ტექნიკური და სტატისტიკური ანგარიშები; მხარდაჭერის არხები – ელ.ფოსტა, ტელეფონი, ონლაინ ფორმა; ტექნიკური კონტაქტი – პასუხისმგებელი პირი ყოველდღიური კომუნიკაციისთვის)

1. პროექტის მიზანი

აპლიკაციის მიზანია ქუთაისში დაგეგმილი ღონისძიებების სრულყოფილი კატალოგის შექმნა და მოხალისეობრივი ჩართულობის წახალისება ქულებისა და ფასდაკლების ვაუჩერების სისტემის მეშვეობით.

2. ძირითადი მახასიათებლები

მახასიათებელი	აღწერა
სამიზნე აუდიტორია	ახალგაზრდები, სტუდენტები, მოსწავლეები, NEET-ები, ადგილობრივები
პლატფორმა	Android, iOS
მოხალისეობა	რეგისტრაცია ღონისძიებებზე, ქულების დაგროვება, ვაუჩერების მიღება
პარტნიორები	ადგილობრივი ბიზნესი (ფასდაკლების ვაუჩერები)
მხარდაჭერის ვადა	მინ. 6 თვე დამთავრების შემდეგ
ენა	ქართული (მომავალში მრავალენოვანი მხარდაჭერა)
გამოქვეყნება	Google Play Store და Apple App Store

3. ტექნიკური არქიტექტურა

Frontend:

- ფრემვორკი: React Native
- ნავიგაცია: React Navigation
- State Management: Redux ან Context API
- UI ბიბლიოთეკა: NativeBase ან Material UI for React Native
- ავთენტიფიკაცია: Firebase Authentication ან OAuth2

Backend:

- ფრემვორკი: Spring Boot (Java)
- ბაზა: MySQL
- ავთენტიფიკაცია: Spring Security + JWT ან OAuth2
- API: RESTful JSON

- შეტყობინებები რეალურ დროში: Firebase Cloud Messaging ან Spring WebSocket

ინფრასტრუქტურა:

- ჰოსტინგი: AWS
- CI/CD: GitHub Actions
- ლოგირება და მონიტორინგი: Sentry, LogRocket, Spring Boot Actuator
- საცავი: AWS S3 ან Firebase Storage ატვირთული ფაილებისთვის

4. სისტემის არქიტექტურა

- მობილური აპლიკაცია უკავშირდება Spring Boot backend-ს REST API-ით
- ბაზა მონაცემებისათვის: მომხმარებლები, ღონისძიებები, ქულები, ატვირთული ფოტოები
- შეტყობინებების სისტემა: ღონისძიებების შეხსენება და განახლებები

5. მომხმარებელთა როლები

როლი	უფლებები
მომხმარებელი	ღონისძიებების დათვალიერება, მონაწილეობის აღება, ქულების დაგროვება, ფოტო ატვირთვა
ორგანიზატორი	ღონისძიებების დამატება/მართვა, ატვირთვების დამტკიცება
ადმინისტრატორი	სრული ზედამხედველობა, შინაარსისა და მომხმარებლების მართვა

6. ძირითადი ფუნქციონალი

- ავტორიზაცია/რეგისტრაცია (JWT ან OAuth2)
 - ღონისძიებების კატალოგი (დეტალური ფილტრაციით)
 - მოხალისეობრივი ჩართულობა და ქულების დაგროვება
 - ფოტოების ატვირთვა და მართვა
 - შეტყობინებების სისტემა (FCM/WebSocket)
 - სიახლეების განყოფილება
 - მომხმარებლის პროფილი და აქტივობის დაფა
-

7. განლაგების სტრატეგია

ეტაპი	ვადა
UI/UX დიზაინი	5 სამუშაო დღე
Backend და Frontend პროგრამირება	40 სამუშაო დღე
ტესტირება და უკუკავშირი	10 სამუშაო დღე
აპის განთავსება	5 სამუშაო დღე
მხარდაჭერა	6 თვე

8. უსაფრთხოება

- პაროლების დაცვა bcrypt-ით
 - ავტორიზაცია JWT/OAuth2 მეშვეობით
 - მონაცემების გადაცემა SSL-ით
 - როლებზე დაფუძნებული წვდომა
-

9. სკალირებადობა და გაუმჯობესება

- AI რეკომენდაციების სისტემა
 - ფორუმი ან ჩატის ფუნქცია
 - აპშიდა შესყიდვები და პრემიუმ ვერსიები
 - პირდაპირი ტრანსლაციების მხარდაჭერა
-